ხელშეკრულება 27

მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი

14 ივნისი 2016 წელი

1. ზოგადი ნაწილი

ერთის მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბიზნეს აუდიტ სერვისი“ მისი დირექტორის ფირუზი ჭოლიკაურის სახით (შემდგომში „შემსრულებელი“), და მეორეს მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქავტოტრანსი“ (ს/კ211345089, შემდგომში „დამკვეთი“) მისი დირექტორის ზურაბ ადამიას სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „დამკვეთი“ ავალებს, ხოლო „შემსრულებელი“ თავის თავზე იღებს გაუწიოს მას აუდიტორული მომსახურება, კერძოდ:

- მოახდინოს შპს „საქავტოტრანსი“-ს (ს/კ211345089) საწესდებო კაპიტალის ცვლილებების განსაზღვრა.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. „დამკვეთი“ ვალდებულია:

- მისცეს „შემსრულებელს“ უტყუარი ახსნა–განმარტება შესასრულებელი სამუშაოს შესახებ და დროულად მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია მუშაობისას წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე.
- ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება.

3.2. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

- ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა მიაწოდოს „დამკვეთს“ შესაბამისი ინფორმაცია აუდიტორული დასკვნის სახით.

4. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. მხარეთა შეთანხმებით მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია 350 (სამასორმოცდაათი) ლარი დამატებული ღირებულების გარეშე.

4.2. მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შესაბამისი დასკვნების ჩაბარებიდან არაუგვანეს 5 კალენდარული დღისა, აღნიშნული ვადა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. „დამკვეთის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობასა და სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება „დამკვეთს“.

5.2. „შემსრულებელი“ პასუხისმგებლობას კისრულობს მის მიერ შესრულებული სამუშაოს სისწორეზე „დამკვეთის“ წინაშე, მისი მიზეზით დარიცხული საჯარიმო სანქციებისათვის, მომსახურებისათვის გადახდილი თანხის ფარგლებში.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ყველა სადავო საკითხი წყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლო წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედება

7.1. ხელშეკრულების პირობები შესაძლოა შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმდება ამ ხელშეკრულების დანართის სახით.

7.2. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 14 ივნისიდან მხარეთა მიერ მისი პირობების შესრულებამდე.

7.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლარად, ხელმოწერილია მხარეთა მიერ და ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

<u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

შპს „ბიზნეს აუდიტ სერვისი“	შპს „საქავტოტრანსი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 406031841 ქ. თბილისი; სანზონა; კორპ. 13; ბ9	საიდენტიფიკაციო კოდი: 211345089 ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 57
სს „თიბისი ბანკის“ TBCBGE22 GE76TB7090136020100012/GEL	
ფირუზი ჭოლიკაური	ზურაბ ადამია
Business Audit Service 406031841	"SAKAVTOTRANS" 211345089 GEORGIAN SOCIETY WITH LIMITED RESPONSIBILITY

შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი 17 ივნისი 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ "ბიზნეს აუდიტ სერვისი"-ს დირექტორმა ფირუზ ჭოლიკაურმა (შემდგომში „შემსრულებელი") და მეორეს მხრივ, შპს „საქავტოტრანსი"-ს დირექტორმა ზურაბ ადამიამ (შემდგომში „დამკვეთი") შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ "შემსრულებელმა" ჩააბარა, ხოლო „დამკვეთმა" ჩაიბარა მათ შორის 2016 წლის 14 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესახებ, აუდიტორული დასკვნა N02/14-16/06/16

/ფ. ჭოლიკაური/

/ზ. ადამია/